



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
EUROPEAN UNION FOR GEORGIA



*Empowered lives.  
Resilient nations.*



# ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების სამოვრების მენეჯმენტის გეგმა

---

2015



## 1 შესავალი

ეს მენეჯმენტის გეგმა მომზადდა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ უზრუნველყოფილი ფინანსური დახმარების მეშვეობით, რომელიც გაეწია პროექტს: „საქართველოში სამოვრების მდგრადი მართვა ადგილობრივი თემებისთვის კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის სარგებლისა და დივიდენდების დემონსტრირების მიზნით“.

მენეჯმენტის გეგმის საფუძველია: იმ ფაქტორის აღიარება, რომ მეცხვარეობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ტრადიციაა თუშეთის მოსახლეობისთვის, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე თვითმყოფადი თემისთვის; გათვალისწინებულია, რომ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ფარგლებში არსებული ტრადიციული გამოყენების ზონის დანიშნულებაა ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილება, ბუნებრივი რესურსების ტრადიციული გამოყენების გზით. გარდა ამისა, მენეჯმენტის გეგმა აღიარებს ცხვრის ძოვების კრიტიკულ როლს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ლანდშაფტის ფორმირების პროცესში.

გეგმა შემუშავდა შემდეგი მასალების საფუძველზე:

- ბუნებრივი სამოვრების მდგომარეობა და შეფასება ვაშლოვანის ეროვნულ პარკში და მასთან დაკავშირებულ ტერიტორიებზე, - გ. გინცბურგერი, ნ. ლაჩაშვილთან და თ. პოპიაშვილთან თანამშრომლობით (საქართველოში მტაცებლების კონსერვაციის პროექტი, FFI/NACRES, 2012);
- სამოვრების გამოყენება ვაშლოვანის ეროვნულ პარკში: იურიდიული და ინსტიტუციონალური ასპექტები (NACRES, 2013) მომზადდა პროექტისთვის: „საქართველოში სამოვრების მდგრადი მართვა ადგილობრივი თემებისთვის კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის სარგებლისა და დივიდენდების დემონსტრირების მიზნით“ ;

- ვაშლოვანის ეროვნულ პარკში არსებული სამოვრების სწრაფი შეფასება (NACRES 2013) მომზადდა პროექტისათვის: „საქართველოში სამოვრების მდგრადი მართვა ადგილობრივი თემებისთვის კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის სარგებლისა და დივიდენდების დემონსტრირების მიზნით“;
- მცენარეული საფარის რუკა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისთვის (NACRES, 2013) მომზადდა პროექტისათვის: „საქართველოში სამოვრების მდგრადი მართვა ადგილობრივი თემებისთვის კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის სარგებლისა და დივიდენდების დემონსტრირების მიზნით“;
- ზამთრის სამოვრების შეფასების სახელმძღვანელო, რომელიც მომზადდა ეტცოლდისა და ნოიდერტის მიერ აღწერილი მეთოდოლოგიის საფუძველზე (2013), ბოტანიკისა და ლანდშაფტის ეკოლოგიის ინსტიტუტი; ერნსტ მორიც არნდთის უნივერსიტეტი გრაიფსვალდში;
- იმ თუში მეცხვარეების ადგილობრივი საარსებო საშუალებების შეფასება, რომლებიც ტრადიციულად ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს ზამთრის სამოვრებისთვის იყენებენ (ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“, 2013). მომზადდა პროექტისთვის: „საქართველოში სამოვრების მდგრადი მართვა ადგილობრივი თემებისთვის კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის სარგებლისა და დივიდენდების დემონსტრირების მიზნით“.

## 2 ხედვა

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ზამთრის სამოვრებზე საქონლის ტრადიციული ძოვება ეფექტურად იმართება, რადგან ურთიერთობა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასა და მეცხვარე ფერმერებს შორის მკაფიოდაა განსაზღვრული და ურთიერთგაგებასა და პარტნიორულ სულისკვეთებას ემყარება; საქონლის ძოვების ეკოლოგიური ფასეულობა დაცული ტერიტორიების საკონსერვაციო ინტერესების ხელყოფის გარეშე ნარჩუნდება. ძლიერდება სამოვრების ბიომრავალფეროვნება და, სადაც ეს აუცილებელია, სამოვრების სტატუსი უმჯობესდება.

### 3 ზოგადი მიზანი და ამოცანები

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების სამოვრების მენეჯმენტის გეგმა შემდეგ წინაპირობებს ემყარება: (i) მეცხვარეობა ვაშლოვანის ისტორიის განუყოფელი ნაწილია, რომელმაც, სხვა ფაქტორებს შორის, მისი ლანდშაფტი განსაზღვრა; (ii) მეცხვარეობა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე თვითმყოფადი თემის განმსაზღვრელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მეცხვარეობის არსებობა და ტრადიციული გამოყენების უფლებების დაცვა, ზოგადად, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების სამოვრების მენეჯმენტის გეგმის ზოგადი ამოცანებია:

- ბუნებრივი რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, ეკოლოგიური მენეჯმენტისა და ტრადიციული ძოვების პრაქტიკის მემკვიდრეობით;
- ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, სამოვრების მდგრადი მართვის გზით;
- სამოვრების მართვის საუკეთესო პრაქტიკების დანერგვისა და განხორციელების მხარდაჭერა;
- ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ბუნებრივი რესურსების მონაწილეობითი მართვის უზრუნველყოფა. ეს გულისხმობს ცხვრის მესაკუთრეების, თემების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ადგილობრივი მთავრობისა და სხვა შესაბამისი სამთავრობო უწყებების ჩართვას ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღებისა და სამოვრების მართვის პროცესში.

ცხვრის მესაკუთრეებთან თანამშრომლობითა და მათი მხარდაჭერით, შემუშავდა მენეჯმენტის შემდეგი პრინციპები და სახელმძღვანელო წესები:

- სამოვრების მართვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება დამყარებული იქნება უპირველესად იმაზე, მოხდება თუ არა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური მთლიანობის ხელყოფა;
- ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების 16,553<sup>1</sup> ჰექტარი არის ის მაქსიმალური ფართობი, რომელიც სამოვრებისთვის იჯარით გასაცემად გამოიყოფა;

---

<sup>1</sup> მოცემული ფართობი მოიცავს სამოვრად გამოუსადეგარ ტერიტორიებს, მცირე არელების სახით. მათ შორის სუფთა სამოვრის ფართობია 14,149 ჰა

- დაცული ტერიტორიების სააგენტო გახდება მეიჯარე ყველა იმ სამოვრისთვის, რომლებიც მდებარეობს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საზღვრებში;
- ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საზღვრებში დღეს არსებულ მოიჯარეებს მიენიჭებათ უპირატესი სტატუსი, სამოვრებზე იჯარის შემდგომი გაცემის კუთხით;
- მოცემული მენეჯმენტის გეგმისა და მოვებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების განხორციელება მოხდება მონაწილეობითი მიდგომის საფუძველზე, ძირითად მონაწილე დაინტერესებულ მხარეებთან ინტენსიური კონსულტაციების გზით.

### 3.1 მართვის გეგმის იურისდიქცია

მენეჯმენტის გეგმა ვაშლოვანის ეროვნულ პარკს მოიცავს.

### 3.2 მართვის გეგმის შემუშავების პროცესი

მენეჯმენტის გეგმა დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან, მეცხვარე ფერმერებთან და სხვა დაინტერესებულ მონაწილე მხარეებთან ინტენსიური კონსულტაციების გზით შემუშავდა.

გეგმის შემუშავების პირველი ნაბიჯი მოიცავდა საბაზისო განხილვასა და მომზადებას, რაც, ძირითადად, გულისხმობდა რესურსებისა და ადმინისტრაციულ/ინსტიტუციონალურ შეფასებებს. განხორციელდა არსებული სამეცნიერო ლიტერატურის, ანგარიშებისა და სხვა მასალების ანალიზი, წარსულში NACRES-ის მიერ შემუშავებული შესაბამისი დოკუმენტების ჩათვლით. გარდა ამისა, შემუშავდა სამოვრების გამოყენების იურიდიული და ინსტიტუციონალური ასპექტების უფრო სიღრმისეული ანგარიში.

მეორე ნაბიჯი მოიცავდა სამოვრის მდგომარეობის შეფასებას. გამოყენებული იქნა ეტკოლდისა და ნოიდერტის მიერ აღწერილი მეთოდოლოგია (2013). სამოვრების შესაფასებლად გამოყენებული იქნა მეცხვარე ფერმერებისგან მიღებულ ინფორმაცია, კერძოდ, გავითვალისწინეთ მათი ცოდნა საკუთარი სამოვრების საზღვრების, თვისებებისა თუ მოვების რეჟიმებზე. არსებული საიჯარო ხელშეკრულებების განხილვის და ფერმერებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოვახდინეთ ცალკეული სამოვრის ნაკვეთების გამოყოფა.

თითოეული სამოვრის ნაკვეთი დაიყო ორიდან ხუთამდე ეკოლოგიური ან მოვების რეჟიმის პირობებით განსხვავებულ ნაწილად, რომელსაც მართვის ერთეული ეწოდა. თავის მხრივ, მართვის ერთეულებისთვის განისაზღვრა ერთიდან სამამდე წარმომადგენლობითი ნაკვეთი; მცირე ზომისა და უფრო ჰომოგენური მართვის ერთეულებისთვის საჭირო იყო ნაკლები სანიმუშო ნაკვეთი (მინ. 1), ხოლო უფრო დიდი ზომისა ან/და უფრო ჰეტეროგენური ერთეულებისთვის საჭირო იყო უფრო მეტი ნაკვეთი, რათა მომხდარიყო ვარიაციის დაფარვა (მაქს. 3 ნაკვეთი). სწორედ სანიმუშო ნაკვეთებზე, სამოვრის მდგომარეობის შემფასებელი პერსონალის მიერ, მოხდა ინფორმაციის შეგროვება სხვადასხვა მახასიათებლების შესახებ, რომელიც მოიცავდა ერთი მხრივ, ადგილის ფიზიკურ პარამეტრებს (სიმაღლე ზღვის დონიდან, ფერდობის დახრილობა, ექსპოზიცია, ტოპოგრაფიული მდებარეობა, ფერდობის კონფიგურაცია და ნიადაგის მახასიათებლები), რომელთაც არ ცვლის ადამიანთან ან საქონელთან დაკავშირებული ზეგავლენა. ადგილის ფიზიკური პარამეტრები გამოყენებული იქნა, რათა გამოთვლილიყო კონკრეტული ადგილის პოტენციური ეროზია, რაც გამოიხატა „ეროზიისადმი მგრძობიარობის ინდექსში (SEI)“. მეორე მხრივ, შეგროვდა ის პარამეტრები, რომლებზეც ზეგავლენას ახდენდა ადამიანი ან საქონელი და სამოვრის არსებულ მდგომარეობას ასახავდა. ეს პარამეტრები დაკავშირებული იყო ეროზიის ნიშნებსა (მაგ. გაშიშვლებული ნიადაგი, ეროზიის კვალი და საქონლის ბილიკები) და ვეგეტაციის მდგომარეობასთან (დომინანტი მცენარეულობის ჯგუფები, მოვების ინდიკატორი სახეობების ჯგუფები ან მცენარეთა მრავალფეროვნება). ამ პარამეტრების გამოყენებით გამოითვალა „სამოვრის დეგრადირების ინდექსი (PDI)“.

ყველა შეფასებული ნაკვეთისთვის განისაზღვრა ორივე ინდექსი და სხვადასხვა გაანგარიშებების გზით, მოხდა ცალკეული ნაკვეთებისთვის მიღებული შედეგების ექსტრაპოლაცია შესაბამისი მენეჯმენტის ერთეულებისა და საბოლოოდ - სამოვრის ნაკვეთის დონემდე. შედეგად, შემუშავდა პირველი რეკომენდაციები სამოვრების მართვის კუთხით, საქონლის დასაშვებ რაოდენობასა და მოვების რეჟიმთან დაკავშირებით.

სამოვრების შეფასების დასრულებისა და ზემოთ აღწერილი მეთოდების საფუძველზე, საქონლის რაოდენობრივი ერთეულების განსაზღვრის შემდეგ, განხილული იქნა სამოვრების გაუმჯობესების სხვადასხვა ზომები, შეფასდა თუ რამდენად შესაძლებელი იყო მათი განხორციელება და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისათვის მათი ადაპტირება. აღნიშნული ზომები არაერთხელ იქნა განხილული დაინტერესებულ მონაწილე მხარეებთან; მათი გაცხრილვა პრაქტიკული განხორციელებადობის თვალსაზრისით, სხვადასხვა კრიტერიუმების საფუძველზე

მოხდა, რომელიც მოიცავდა ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობას, სოციო-ეკონომიკურ ზეგავლენასა და პრაქტიკულ მიღწევადობას, განხორციელების კუთხით ძირითადი აქტორების რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

### 3.3 დაბრკოლებები და შეზღუდვები

დაცული ტერიტორიების სააგენტომ პირველი ნაბიჯები გადადგა სამოვრების მდგრადი მართვის მიმართულებით, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სამოვრების მართვა, როგორც ასეთი, დაცული ტერიტორიების სააგენტოს კომპეტენცია მხოლოდ მცირე ხნის წინ (2013) გახდა, მენეჯმენტის გეგმისა და საბოლოო პროდუქტის შემუშავებას თან ახლდა გარკვეული შეზღუდვები, როგორც ინსტიტუციონალურ, ასევე პროექტის დონეზე.

უპირველესად, სამოვრების მდგომარეობის შეფასება რამდენიმე წლის განმავლობაში ინტენსიურ სამეცნიერო მუშაობას მოითხოვდა. ყოვლისმომცველი შეფასების განხორციელება შეუძლებელი იყო პროექტისთვის განსაზღვრული შეზღუდული დროის მონაკვეთის გამო. ამის ნაცვლად, პროექტმა სამოვრების შეფასების ისეთი მეთოდოლოგია შეარჩია, რომელიც ა) საბაზისო მონაცემების მიღების საშუალებას მოგვცემდა დროის შედარებით ხანმოკლე პერიოდში (2015 წლის გაზაფხული). ბ) იქნებოდა იოლად გამოსაყენებელი, რათა საკმარისად მარტივად ინტეგრირებულიყო დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის სისტემასთან, რომელიც გამოწვევების წინაშე დგას თანამშრომელთა შესაძლებლობების კუთხით. აღნიშნული მიდგომა პრაქტიკული იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, ის ამ შეფასების შედეგად მიღებულ დასკვნებს ზღუდავდა. სწორედ იმ წელიწადს, როცა პირველი შეფასება განხორციელდა (2015), განსაკუთრებით უხვი ნალექი მოვიდა. ამის გამო, მონაცემები, რომელთა საფუძველზეც უნდა მომხდარიყო რიცხოვნობასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება, მაქსიმალური სანდოობით არ გამოირჩეოდა.

შეფასების შედეგებმა გვიჩვენა, რომ ვაშლოვანის ეროვნულ პარკში არსებული სამოვრების უმეტესობაზე არ ხდება საკმარისი ძოვება, რაც ცხვრის რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდის საშუალებას იძლევა (იხილეთ გრაფა A3). ერთი მხრივ, ამ საკითხთან დაკავშირებით საკმარისი სამეცნიერო ცოდნის არარსებობა და მეორე

მხრივ, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მოწყვლადი ეკოსისტემის დაცვის სოციალური პასუხისმგებლობების გამო, მენეჯმენტის გეგმა მიმართავს ფრთხილ მიდგომას: პროდუქტიულობის შეფასების შედეგად მიღებულ ცხვრის დასაშვები ოდენობის მონაცემებს არ იყენებს მართვის ქმედებების საფუძვლად მანამ, სანამ არ იქნება მომავალი 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ჩატარებული შეფასების შედეგები. კიდევ ერთი აშკარა პრობლემაა დაცული ტერიტორიების სააგენტოს შესაძლებლობები (როგორც ფინანსური, ასევე ორგანიზაციული) მართვის კონკრეტული ზომების განხორციელების თვალსაზრისით, როგორცაა დაცული ტერიტორიების ფარგლებში არსებული საძოვრების მენეჯმენტსა და ამ გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი საგანგებო პერსონალის განსაზღვრა. ფინანსური შეზღუდვების გამო, დაცული ტერიტორიების სააგენტოს არ შეუძლია მართვის ყველა იმ ზომის გატარება, რომელიც აუცილებელია საძოვრების მდგრადი მართვის უზრუნველსაყოფად. ამიტომ გეგმაში შესულია მხოლოდ ის ზომები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს შეფასება პრაქტიკული განხორციელებადობის თვალსაზრისით.

დროსა და კლიმატთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, ვერ მოხდა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ერთი ნაწილის შეფასება და შედეგები მიღებული იქნა ექსტრაპოლაციის მეთოდის გამოყენებით (იხ. რუკა დანართში #1).

### 3.4 საძოვრების გამოყენებისა და ადამიანის ჩარევის ისტორია

ტრადიციულად, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების სტეპები და ნახევრადუდაბნოები საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა ზამთრის საძოვრებად, ძირითადად თუში თემის მიერ<sup>2</sup>. 2003 წელს შეიქმნა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები „თუშეთის, ბაწარა-ბაბანურის, ლაგოდებისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. შედეგად, ზოგიერთი ზამთრის საძოვარი ვაშლოვანის ეროვნული პარკის საზღვრებში აღმოჩნდა.

მეცხვარეობა თუშების უმთავრესი საქმიანობაა და ნაწილობრივ, ამ თემის იდენტობისა თუ ეთნიკური მახასიათებლების განმსაზღვრელიც. მეცხვარეობა სეზონური გადარეკვებით ხასიათდება და ის მჭიდროდაა დაკავშირებული სოციო-ეკონომიკურ ასპექტებსა და თვითმყოფადი თემის ცხოვრების წესთან.

<sup>2</sup>შესაქონლეობის მსგავსი მოდელი (თუმცა იგი ძირითადად მოიცავს ოჯახის მეცხვარე წევრებს) პრაქტიკაშია სხვა თემებში, კახეთსა და საქართველოს სხვა რეგიონებში, როდესაც მოსახლეობა ასევე აძოვებს საკუთარ საქონელს ვაშლოვანში ან მიმდებარე ტერიტორიებზე ზამთრის განმავლობაში, მაგრამ საზაფხულოდ სხვადასხვა ადგილებზე მიჰყავს კახეთში, ასევე წალკისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში.



ზაფხულობით, თუში მეცხვარეები საკუთარ საქონელს თუშეთის მთების საძოვრებზე ამოვებენ, ზამთარში ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებსა და მიმდებარე მიწებზე ჩამოჰყავთ. როგორც წესი, მეცხვარეებს საკუთარი ოჯახები უერთდებიან, როცა ისინი უკან, თუშეთის მთებისაკენ მოემგზავრებიან. აქ ყველას აქვს საზაფხულო სახლი. მეცხვარეები ბარში ჩამოდიან, ოჯახები კი რჩებიან ახმეტის მუნიციპალიტეტის თუშურ სოფლებში.

საბჭოთა სისტემის დროს, ზოგიერთი მიმდებარე საძოვარი ფერმებზე გადანაწილდა. ეს ფერმები და საძოვრებიც, სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მოხდა ამ ფერმების პრივატიზაცია, თუმცა საძოვარი მიწების კერძო მფლობელობაში გადაცემა კანონით არ იყო ნებადართული. შესაბამისად, საძოვრები იჯარით გადაეცათ საქონლის მესაკუთრებს 49 წლამდე ვადით.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნის შემდეგ (2003), დაცული ტერიტორიების სააგენტო განიხილავდა ფერმების გადატანას ამ ტერიტორიიდან ალტერნატიულ საძოვრებზე, რათა განხორციელებულიყო ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული აღდგენითი ღონისძიებები. ეს ალტერნატიული საძოვრები, სავარაუდოდ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებობდა.<sup>3</sup> შესაძლო გადატანის შესახებ საუბრებით ურთიერთობები დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასა და მეცხვარე ფერმერებს შორის დაიძაბა და, გარკვეულწილად, თემის მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულებაც გამოიწვია ზოგადად, დაცული ტერიტორიების სისტემისა და მენეჯმენტის მიმართ. 2013 წელს განხორციელებულმა ალტერნატიული საძოვრების კვლევამ გვიჩვენა, რომ *დე ფაქტო* ვაკანტური საძოვრების იდენტიფიცირება არ

მომხდარა, ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, ვაშლოვანის ეროვნული პარკის მახლობლად ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი *დე იურე* ვაკანტური საძოვრები.<sup>4</sup>

---

<sup>3</sup>დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინფორმაცია ძირითადად ემყარებოდა მსოფლიო ბანკისა და გარემოს გლობალური ფონდის (GEF) მიერ დაფინანსებულ პროექტის ანგარიშს. პროექტი: "საქართველოში დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების პროცესი", *ჩარჩო დოკუმენტი და განსახლების გეგმა*, ACTA Consultants Georgia Ltd., 2007.


<sup>4</sup>ვაშლოვანის ეროვნულ პარკში არსებული საძოვრების სწრაფი შეფასება (NACRES 2013). მომზადდა პროექტისათვის: „საქართველოში საძოვრების მდგრადი მართვა ადგილობრივი თემებისთვის კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის სარგებლისა და დივიდენდების დემონსტრირების მიზნით“.

### 3.5 სიტუაციური ანალიზი

#### 3.5.1 მეცხვარეობა და ბიომრავალფეროვნება

მეცხვარეობა ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ანთროპოგენული ზემოქმედების ძირითადი კომპონენტია. ვაშლოვანში ცხვრის ძოვება მცენარეთა გარკვეული სახეობების გავრცელებისა და ჰაბიტატების მრავალფეროვნების განმსაზღვრელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს. მეორე მხრივ, ვაშლოვანში უკონტროლო ძოვებამ მცენარეთა გარკვეული ჯგუფების ფრაგმენტულობა გამოიწვია.

გრაფა A1. ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული მცენარეთა ძირითადი ტიპები:



გარდა ძოვებისა, ჰაბიტატებზე ზეგავლენას ახდენს მეცხვარეობის თანმდევი სხვა ფაქტორებიც როგორცაა მეცხვარე ძაღლები, საშუშე მერქნის მოპოვება, ადამიანის

კონფლიქტი მტაცებელთან, ცხვრის მიგრაცია და დაავადებები, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენები. თითოეულ ფაქტორს სპეციფიკური ზეგავლენა აქვს ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე. აქედან გამომდინარე, კონსერვაციული თვალსაზრისით, შეუძლებელია მოვეხება ცალსახად პოზიტიურ ან ნეგატიურ ფაქტორად ჩავთვალოთ.

ისტორიულად მეცხვარეობა და ცხვარი ვაშლოვანის ლანდშაფტის და ეკოლოგიის განოყოფელი ნაწილია. გარდა ამისა, მეცხვარეობამ დიდი წვლილი შეიტანა თუშური იდენტობის ჩამოყალიბებაში. ამდენად, სამოვრების მდგრადი მართვა კომპლექსური საკითხია და, არსებული რეალობის გათვალისწინებით, მხოლოდ სოციალური და კონსერვაციული ინტერესების დაბალანსების გზით არის შესაძლებელი.

სამოვრების დეგრადირებული ნაწილი კონცენტრირებულია ეროვნული პარკის ცენტრალურ ნაწილში, ბუღა მოედნისკენ მიმავალ ვიწრო მონაკვეთზე, მ. ლეკისწყლის გასწვრივ (რუკა იხილეთ დანართში #8). დეგრადირება ცხვრის ინტენსიური, ქაოტური და არაორგანიზებული მიგრაციის შედეგია. ცხვარი ამ მონაკვეთის გავლით, მიმდებარე ფერმებიდან ინტენსიურად მოძრაობს დასარწყულებლად. ასევე ელდარის დაბლობზე არსებული ფერმები ამ მონაკვეთს იყენებენ შემოდგომაზე ცხვრის ზამთრის სამოვრებზე შემოსაყვანად, ხოლო გაზაფხულზე - ცხვრის ზაფხულის სამოვრებზე მიგრაციისთვის. ზოგიერთ სეზონზე, როდესაც სამხრეთის სამოვრებზე არ არის საკმარისი ბალახი, აღნიშნული მონაკვეთი გამოიყენება ცხვრის ჩრდილოეთის სამოვრებზე, კერძოდ შავი მთის მიდამოებთან, გადასაყვანად. დეგრადირებული მონაკვეთის მთლიანი ფართობია 480 ჰა.

აღსანიშნავია, რომ საკმლის ხის (*Pistacia mutica*) კონსერვაცია ვაშლოვანის ნაკრძალის დაარსების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო და ის დღემდე პრიორიტეტულია. საკმლის ხის რეგენერაცია სემი-არიდული ზონის უდიდეს ნაწილში საკმაოდ შეზღუდულია, სამოვრების და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე კი პრაქტიკულად არ ხდება, გარდა ცხვრისთვის მიუდგომელი ფრაგმენტული ადგილებისა, სადაც ეკლიანი ბუჩქნარია გავრცელებული (*Rhamnus pallasii* და *Palirus spina-christi*).

მეცხვარეებს უფლება აქვთ საშემე მერქნისთვის წაქცეული ხეები მოიპოვონ ტრადიციული გამოყენების ზონიდან, მაგრამ საშემე მერქანზე მოთხოვნა უფრო დიდია და მეცხვარეები ხშირად უკანონო გზებს მიმართავენ. ზეპირი ინფორმაციით, მეცხვარეები მიზანმიმართულად აზიანებენ ხეებს, ელოდებიან მათ წაქცევას და ამ გზით “იმარაგებენ” მომდევნო სეზონისთვის შემას.

სამოვრების პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, მეცხვარეები ხშირად მიმართავენ გადაწვის ხერხსაც. გადაწვა აზიანებს მცენარეულ საფარს. ხშირად, ხანძარი

უკონტროლო ხასიათს იღებს და მის შეჩერებას ე.წ. “ხნულებით” ცდილობენ, რაც კიდევ უფრო მეტად აზიანებს ეკოსისტემას.

შვლის და ქურციკის ადგილი მტაცებლების საკვებში ცხვარმა დაიკავა. ამას კონსერვაციული თვალსაზრისით ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგი მოჰყვა: ერთი მხრივ, ამ ჩანაცვლებამ უზრუნველყო მტაცებლების მრავალფეროვანი პოპულაციის შენარჩუნება, რამაც სუფთა კონსერვაციული ღირებულების გარდა, შექმნა ვაშლოვანში ველური ბუნებით დაინტერესებული ტურიზმის განვითარების პოტენციალი. მეორე მხრივ, გამწვავდა კონფლიქტი მტაცებელსა და ადამიანს შორის, რაც საბოლოო ჯამში, უარყოფითად განაწყოებს მეცხვარეს და ხელს უშლის კონსერვაციის მიზნების განხორციელებას.

ვაშლოვანში წყლის რესურსის ნაკლებობა ცხვრის უკანონო და ქაოტური მოვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. მეცხვარეებს ფარები ხშირად ნაკრძალის ტერიტორიაზე შეჰყავთ დასარწყულებლად.

არის შემთხვევები, როცა ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებულ ფერმებს ბრაკონიერები სტუმრობენ, რამეს ათევენ, ინახავენ იარაღს და ტოვებენ მონადირე ძაღლებს; ზოგჯერ მეცხვარეებისგან იღებენ ინფორმაციას სანადირო ადგილების შესახებ. ბრაკონიერების ძირითადი სამიზნეა მურა დათვი, კურდღელი, გარეული ღორი, კაკაბი.

ვაშლოვანის ფაუნას საფრთხეს უქმნის მეცხვარე ძაღლების არასწორი მენეჯმენტი. საკვების ნაკლებობის გამო, ძაღლი იძულებულია დატოვოს ფარა ხროვასთან ერთად და ველურ ბუნებაში ინადიროს კურდღელზე, მაჩვზე, მიწაზე მობუდარ ფრინველზე. გაველურებული ძაღლი საფრთხეს უქმნის ქურციკის პოპულაციასაც.<sup>5</sup>

ხარისხიანი ვეტერინარული მომსახურების გარეშე, ცხვრის დაავადებები მეცხვარეობის პრობლემის გარდა, ველური ბუნების პრობლემაც ხდება და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ქურციკის რეინტროდუქციის პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის.

ტერიტორია ძლიერ დაბინძურებულია თითქმის ყველა ფერმის ირგვლივ საყოფაცხოვრებო, სამშენებლო თუ სამეურნეო ნარჩენებით. ფერმის სიახლოვეს დაყრილი ცელოფანის პარკების და ტენტების ნარჩენები ხშირად გადაიტანება ქარის მიერ და საკმაოდ დიდ ტერიტორიას აბინძურებს, გარდა ამისა ხშირია

---

<sup>5</sup> თავისთავად ცხვარი არ წარმოადგენს პირდაპირ საფრთხეს ქურციკის პოპულაციისთვის ვაშლოვანში და არ ზღუდავს მის რიცხოვნობას

საყოფაცხოვრებო ნარჩენების ხევში ჩაყრის პრაქტიკა, რაც წყლის მიერ ასევე დიდ მანძილზე გადაიტანება. საყურადღებოა ასევე ნაკელის გროვების პრობლემა, რომელიც არაერთხელ გამხდარა ხანძრის მიზეზი.


### **3.5.2 სამოვრების გამოყენება**

საქონლის ძოვება ნებადართულია ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში. ტრადიციული გამოყენების ზონა შექმნილია ბუნების დაცვისა და განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციული გამოყენების მიზნით. აღნიშნულ ზონაში ნებადართული საქმიანობა მოიცავს: თივის დამზადებას, როგორც ამის საშუალებას იძლევა ბუნებრივი პროდუქტიულობა, საქონლის ძოვებას, ხმელი შემის შეგროვებას საწვავად და ა. შ. ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის მთლიანი ფართობი 22077,8 ჰექტარს შეადგენს (ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის მუხლი 34.2) და მოიცავს შემდეგს: პარკის დასავლეთ ნაწილს, ჩილოელთ ხევს, მდინარე ლეკისწყლის მონაკვეთი მლაშე წყაროებიდან პატარა ოლემდე, ჩრდილოეთ სამოვრებს, რომლებიც ესაზღვრება შავ მთას, ალაზნის ჭალების ტყეებს ჯუმას ყურემდე და ბუდდალოს სამოვრებამდე.

სამოვრების ტრადიციულ გამოყენებას მაღალხარისხიანი საზაფხულო მთიანი სამოვრების არსებობა განაპირობებს, სადაც მათის ბოლოს ან ივნისის დასაწყისში (ამინდის პირობებიდან გამომდინარე) გადადიან თუშური ფარები. მთებში პირველი აცივებისთანავე, ოქტომბრის შუა რიცხვებში, ფარები ვაშლოვანის ბუნებრივ სამოვრებზე გამოსაზამთრებლად ბრუნდებიან და სწორედ აქ იწყება დოლი. ამ ხნის განმავლობაში, ვაშლოვანის სამოვრებზე მცენარე უროს სამოვრები ზამთრის ძილის მშრალ პერიოდში იმყოფება, რაც ლაქტაციაში მყოფი ცხვრების საკვების სიმწირეს განაპირობებს; გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემოდგომის ადრეული ნალექი და თბილი ამინდი ხელს უწყობს ერთწლიანი და მცირეხნიანი მცენარეების გამოჩენას ღრმა ზამთრის დადგომამდე. შესაძლოა, უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ ფარები, რომლებსაც ამოვრებენ ელდარის დაბლობზე, რადგან მათთვის ხელმისაწვდომია ავშნის უხვი ბუნებრივი სამოვრები. ზამთრის საკვების ნაკლებობა ყველაზე ცივ პერიოდსა და დოლს ემთხვევა, რამაც შესაძლოა ბატკნების შესამჩნევი სიკვდილიანობა და დაავადებათა ეპიდემიები გამოიწვიოს. ვაშლოვანში, ზამთრის პერიოდში საკვების დეფიციტია, რომელიც ტემპერატურის მატებასა და გაზაფხულის ადრეულ წვიმებთან ერთად იკლებს, რადგან სამოვრები ერთწლიანი და მცირეხნიანი მცენარეებით იფარება.

აპრილის დასაწყისიდან მაისის დასაწყისამდე ხდება ბატკნების დედისგან მოშორება. ამ დროს ფარები თუშეთის მაღალმთიან საძოვრებზე ბრუნდებიან, ვაშლოვანიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლ. 250 კილომეტრის მანძილზე.

**სურათი A1:** ბუნებრივი საძოვრების ამჟამინდელი გამოყენების სქემატური გამოსახულება, თუშური ცხვრის ფარების მდებარეობა და ციკლი<sup>6</sup> (გ. გინცბურგერი, 2012)



ზამთრის საძოვრების მთელი ტერიტორია დაყოფილია ნაკვეთებად (საძოვრებად). თითოეულის ზომა ათეულობით ჰექტრიდან 500 ჰექტრამდე მერყეობს. ხანდახან, მეცხვარე ფერმერები არა მარტო საკუთარ საძოვრებს იყენებენ, არამედ მეზობელ საძოვრებსაც, რომლებიც კონკრეტულ სეზონზე არ არის დაკავებული. ზამთრის საძოვრებზე არსებული ფერმის ინფრასტრუქტურა ძირითადად შედგება საქონლისთვის განკუთვნილი ფარეხებისგან და მწყემსების საცხოვრებელი სახლისგან.

<sup>6</sup> ამ დიაგრამაზე აქცენტი გაკეთებულია ძოვების წლიური ციკლის იმ კომპონენტებზე, რომლებიც უკავშირდება ვაშლოვანს და არ არის ასახული ე.წ. გარდამავალი პერიოდები – ცხვრის მიგრაცია ზაფხულის საძოვრებიდან ბარში და პირიქით.

რუკა A1 – ვაშლოვანის ეროვნული პარკის საზღვრებში არსებული საძოვრები



2015 წლის ზამთრის ძოვების სეზონის განმავლობაში იდენტიფიცირებულია 32 მეცხვარე ფერმერი (იხ. სია დანართში #2). ცხვრების მთლიანი რაოდენობა კი, რომლებსაც ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საზღვრებში აძოვებენ, დაახლ. 32,540-ია.

### **3.5.3 მიწის გამოყენება და საკუთრება**

მართვის გეგმის შემუშავების მოსამზადებელ ეტაპზე 29 მეცხვარემ შეძლო 2003 წლამდე ახმეტის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებების წარდგენა (მოიჯარეთა სია მოცემულია დანართში #2). 29-დან 14 ხელშეკრულების ხანგრძლივობა 49 წელია. კანონი უფლებას აძლევს მოიჯარეებს, რომ მუნიციპალიტეტთან დადებული საკუთარი ხელშეკრულებები გააგრძელონ მანამ, სანამ 49-წლიანი იჯარა არ ამოიწურება,<sup>7</sup> თუმცა, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, იმისათვის, რომ საიჯარო ხელშეკრულები ნამდვილად ჩაითვალოს, ისინი დარეგისტრირებული უნდა იყოს საჯარო რეესტრში 2009 წლამდე. ცხვრის არც ერთ მესაკუთრეს ეს არ გაუკეთებია. მიუხედავად ამისა, მათი უმეტესობა ამტკიცებს, რომ ისინი საიჯარო გადასახადს იხდიდნენ, რომელიც წესით, ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში უნდა ასახულიყო.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ჯერ არ დაუსრულებია დაცული ტერიტორიების საზღვრების რეგისტრაციის პროცესი. შესაბამისად, მის დასრულებამდე, ცხვრის მესაკუთრეებს არ შეუძლიათ არსებული 49-წლიანი იჯარის ხელშეკრულებების რეგისტრაცია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიღებული იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება 2009 წლამდე რეგისტრაციის გარეშე საქმიანობასთან დაკავშირებული დარღვევის „პატიების“ შესახებ.

ფიზიკურმა პირებმა განახორციელეს 44 ფერმის პრივატიზაცია ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ტრადიციული გამოყენების ზონის საზღვრებში, 2003 წლამდე, სასამართლოს დადგენილებების საფუძველზე. დამატებით, 3 ფერმა

---

<sup>7</sup>კანონი „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“.



ეკუთვნის შპს „ჯიშთსაშენს“.<sup>8</sup> ზოგიერთი ფერმა რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში (თუმცა არა ელექტრონულად) 2009 წლამდე. ზოგი მეცხვარის თქმით, მათ იჯარით აქვთ აღებული საძოვრები შპს „ჯიშთსაშენისაგან“, თუმცა საიჯარო ხელშეკრულებები ვერ წარადგინეს. აღნიშნულ ფერმერთა სია შეგიძლიათ იხილოთ დანართში #3.

თუ დაცული ტერიტორიების სააგენტო გადაწყვეტს, რომ ცხვრის მესაკუთრეებს 49-წლიანი იჯარების შენარჩუნების ნება დართოს, მან უნდა გამონახოს ალტერნატიული გზები საძოვრების მენეჯმენტისათვის, საიჯარო ხელშეკრულებების ქონის გარეშე. ასეთ შემთხვევაში, დაცული ტერიტორიების სააგენტომ უნდა მოითხოვოს 49-წლიანი იჯარების დარეგისტრირება საჯარო რეესტრში. ეს არის ერთადერთი გზა იმისათვის, რომ ვიცოდეთ, ცხვრის რომელ მესაკუთრეებს გააჩნიათ იურიდიული უფლებები მიწის კონკრეტულ ნაკვეთებზე. მაღალია იმის ალბათობა, რომ რეგისტრაციის შედეგად „გამოთავისუფლდება“ ზოგიერთი საძოვარი, რომელთა შემდგომ იჯარით გაცემასაც შეძლებს დაცული ტერიტორიების სააგენტო.

ცხვრის მესაკუთრეთა უმეტესობა დაინტერესებულია საკითხის დარეგულირებითა და იჯარების დარეგისტრირებით, რადგან ეს მათი, მიწის ტრადიციულ გამოყენებასთან დაკავშირებული უფლებების გარანტია იქნება.<sup>9</sup>

ცოტა ხნის წინ, დაცული ტერიტორიების სააგენტომ იჯარით გასცა ჯავახეთის დაცული ტერიტორიების საზღვრებში არსებული საძოვრები. გაფორმებულმა იჯარის ხელშეკრულებებმა შექმნა პრეცედენტი, რომ არ იყოს განსხვავება საძოვრების განსხვავებული პროდუქტიულობის მიხედვით და ერთგვაროვანი ფასი განისაზღვრა საძოვრის ყველა ერთეულისათვის.<sup>10</sup> ჯავახეთში

---

<sup>8</sup>შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებელია ახმეტის მუნიციპალიტეტი. გამოკითხვებისას, ზოგიერთმა ფერმერმა გამოხატა საკუთარი უკმაყოფილება აღნიშნული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების იმ პრაქტიკასთან დაკავშირებით, რომ იგი ქვეიჯარით გასცემს ფერმებს, უსამართლო პირობებით. იხილეთ დანართი #7, სადაც მოცემულია აღნიშნული საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

<sup>9</sup>ცხვრის მეპატრონეებთან ჩატარებული იმ ინტერვიუების შედეგები, რომლებიც ჩატარდა მიწის საკუთრების კვლევის ფარგლებში, რომელიც განახორციელა NACRES-მა, მენეჯმენტის გეგმის შემუშავებამდე.

<sup>10</sup>ერთი ჰექტარი საძოვრის მიწის ფასი 25 ლარს შეადგენს და ერთგვაროვანია დაცული ტერიტორიის მთელ ფართობზე (0.5 ლარის ოდენობის სხვაობის მცირე გამონაკლისის გარდა, რაც გამოწვეულია იმით,

გაფორმებული იჯარების საფუძველზე, საქონლის რაოდენობრივი პოტენციალი ასევე ერთგვაროვანია სამოვრების მთელი ტერიტორიისათვის. ეს არის 4 ცხვარი ერთ ჰექტარზე ან 0.8 ძროხის/ცხენის ექვივალენტი ჰექტარზე.

ჯავახეთის დაცული ტერიტორიების საიჯარო ხელშეკრულებების ხანგრძლივობის ვადაა 5 წელი. „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაცული ტერიტორიების სააგენტოს შეუძლია საიჯარო ხელშეკრულებები გააფორმოს 10 წლამდე ვადით, მაგრამ არა მეტით.

### 3.5.4 სამოვრების მდგომარეობა

2015 წლის შეფასებით დადგენილი სამოვრების არსებული დატვირთვა:

სამოვარი #	სუფთა სამოვარი (ჰა)	ცხვრის არსებული რაოდენობა	ცხვრის არსებული სულადობა (1 ჰა-ზე)
1	186	462	2,48
2	333	554	1,66
3	269	1090	4,06
6	499	1296	2,60
7	536	1107	2,07
8	505	1285	2,55
9	273	891	3,27
10	614	1089	1,77
11	676	970	1,44
12	419	912	2,18
13,17	692	1410	2,04
14,15,16	1302	1638	1,26
18,21,44	540	2536	4,70
19,25*	488	2166	4,44
20	309	720	2,33

რომ სამოვრები მოქცეულია სხვადასხვა მუნიციპალიტეტების მიწებზე და მიწაზე გადასახადის სხვადასხვა იურისდიქციებს ექვემდებარება).

22	215	870	4,05
24	426	1080	2,53
26	240	384	1,60
27	304	625	2,06
28	103	854	8,32
29	171	840	4,91
30	266	820	3,09
31	315	1200	3,81
32 **	471	900	1,91
33	660	1272	1,93
34	230	1700	7,40
35	76	318	4,18
36	244	720	2,95
37	116	588	5,06
38	161	0	0,00
39	360	480	1,33
40	412	161	0,39
41	172	0	0,00
42	172	756	4,40
43	229	390	1,71
45	277	0	0,00
46	165	0	0,00
47	207	456	2,20
48	177	0	0,00
<b>სულ:</b>	<b>13,807</b>	<b>32,540</b>	

\* დოლის პერიოდში ეს სამოვარი ისვენებს

\*\*ეს სამოვრები მთელი წლის განმავლობაში გამოიყენება

ცხვრის რაოდენობა საძოვრებზე, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ არის მოქცეული დაცული ტერიტორიის ფარგლებში:

საძოვარი #	სუფთა საძოვარი (ჰა)	ცხვრის არსებული რაოდენობა	ცხვრის არსებული სულადობა (1 ჰა-ზე)
4	211	939	4,45
5	82	1130	14
23	49	674	14
	<b>342</b>	<b>2,743</b>	

ცხვრის რაოდენობა საძოვრებზე უბნების მიხედვით:

უბანი და საძოვარი #	სუფთა საძოვარი (ჰა)	ცხვრის არსებული რაოდენობა	ცხვრის არსებული სულადობა (1 ჰა-ზე)	ცხვრის საშუალო სულადობა
<b>ეშმაკის ხევი</b>				<b>2,733</b>
1	186	462	2,48	
2	333	554	1,66	
3	269	1090	4,06	
<b>ჩილოელთხევი და მლაშე წყალი</b>				<b>2,281</b>
6	499	1296	2,60	
7	536	1107	2,07	
8	505	1285	2,55	
9	273	891	3,27	
10	614	1089	1,77	
11	676	970	1,44	
<b>ბულამოედანი და ყუმურო</b>				<b>1,82</b>
12	419	912	2,18	
14,15,16	1302	1638	1,26	
13,17	692	1410	2,04	
<b>შავი მთა</b>				<b>3,277</b>
19,25*	488	2166	4,44	
20	309	720	2,33	

22	215	870	4,05	
24	426	1080	2,53	
26	240	384	1,60	
27	304	625	2,06	
28	103	854	8,32	
29	171	840	4,91	
30	266	820	3,09	
31	315	1200	3,81	
32**	471	900	1,91	
33	660	1272	1,93	
34	230	1700	7,40	
35	76	318	4,18	
36	244	720	2,95	
37	116	588	5,06	
38	161	0	0,00	
39	360	480	1,33	
40	412	161	0,39	
41	172	0	0,00	
42	172	756	4,40	
43	229	390	1,71	
45	277	0	0,00	
46	165	0	0,00	
47	207	456	2,20	
48	177	0	0,00	
<b>სხვა</b>				<b>4,696</b>
18,21,44	540	2536	4,70	
	<b>13808</b>	<b>32540</b>		

\* დოლის პერიოდში ეს სამოვარი ისვენებს

\*\*ეს სამოვრები მთელი წლის განმავლობაში გამოიყენება

თითოეული სამოვრის დეგრადაციის ინდექსი და საერთო მდგომარეობა იხილეთ დანართში # 4 „სამოვრის პროფილები“.

### 3.6 ძირითადი დაინტერესებული მონაწილე მხარეები

<p><i>დაინტერესებული მონაწილე მხარე</i></p>	<p><i>რელევანტურობა/როლი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების სამოვრების მენეჯმენტის პროცესში</i></p>
<p>დაცული ტერიტორიების სააგენტო</p>	<p>ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ბუნებრივი სამოვრების მენეჯერი.</p>
<p>ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ვიზიტორები</p>	<p>ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ვიზიტორების რაოდენობა მას შემდეგიზრდება, რაც დაცული ტერიტორიებიშიეიქმნა. ვიზიტორები პოტენციურ შემოსავალს წარმოადგენენ ფერმერებისათვის (მაგ. აგროტურიზმის პროდუქტები, სადემონსტრაციო ფერმები და ფერმერული საქმიანობიდან მიღებული ტურიზმის პროდუქტები).</p>

<p>ასოციაცია „თუში მეცხვარე“</p>	<p>არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მანდატიც ითვალისწინებს ცხვრის მესაკუთრეთა დახმარებას, რომ შეინარჩუნონ მეცხვარეობის ტრადიციული პრაქტიკა.</p>
<p>დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი</p>	<p>აქ მდებარეობს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები. როდესაც გაფორმდება იჯარები დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ფერმერებს შორის, მიწის მოსაკრებლისათვის მითითებული კოდი იქნება დედოფლისწყაროს და არა ახმეტის მუნიციპალიტეტის.</p>
<p>ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“</p>	<p>2013 წელს ასოციაციამ იმ თუში მეცხვარეობის ადგილობრივი საარსებო საშუალებების შეფასებაგანახორციელა, რომლებიც ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს ტრადიციულად იყენებენ ზამთრის საძოვრებისათვის.</p>

	<p>ასოციაცია წარმოადგენს პოტენციურ პარტნიორს თუში ფერმერებისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისათვის, მეცხვარეობის საუკეთესო პრაქტიკის განხორციელების თვალსაზრისით.</p>
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია	<p>მართავს გარკვეულ ტერიტორიას ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საზღვრებში, ეკლესიისათვის მიწის გამოყოფის იურიდიული მექანიზმის საფუძველზე (მიჩენის წესი). რუკა შეგიძლიათ იხილოთ დანართში #5.</p>
საქართველოს მთავრობა	<p>ამტკიცებს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმას, რომლის გადახედვაც იქნება საჭირო ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების PMP-ის შედეგად.</p>
ცხვრის ინდივიდუალური მესაკუთრეები	<p>ისინი, ვინც იყენებენ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ბუნებრივ საძოვრებს. ჩამონათვალი მოცემულია</p>



	დანართში #2.
შპს „თუშური ცხვრის ჯიშსაშენი“	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის 100% ეკუთვნის ახმეტის მუნიციპალიტეტს. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საკუთრებაშია სამი ფერმა, რომლებიც მდებარეობს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საზღვრებში; შპს ასევე იყენებს გარკვეულ საძოვრებს დაცული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ და ქვეიჯარით გადასცემს მათ ფერმერებს.
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებელია სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკაზე, საქონლის მენეჯმენტის ჩათვლით; იმ სახელმძღვანელო წესების ავტორი, რომლებსაც დაცული ტერიტორიების სააგენტო იყენებს ჯავახეთში,

	ვაქცინაციის საჭიროებებისთვის.
ახმეტის მუნიციპალიტეტი	აქ ცხოვრობს ცხვრის მესაკუთრეთა უმრავლესობა; მუნიციპალიტეტი არის ასევე ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების სამოვრებზე ამჟამად გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებების უმეტესობის მფლობელი; ცხვრის მესაკუთრეები იხდიან საიჯარო გადასახადებს, რომლებიც ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიდის.
NACRES, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და კვლევის ცენტრი	ახორციელებს იმ პროექტის შესაბამის კომპონენტებს, რომლის დასახელებაცაა „სამოვრების მდგრადი მენეჯმენტი საქართველოში, რათა მოხდეს კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტირების შედეგად ადგილობრივი თემებისათვის სარგებლებისა და დივიდენდების დემონსტრირება“, სამოვრების მდგომარეობის

	<p>მონიტორინგის ჩათვლით; უტარებს ტრენინგებს დაცული ტერიტორიების სააგენტოს და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების თანამშრომლებს, სამოვრების მონიტორინგის სფეროში.</p>
<p>საჯარო რეესტრი</p>	<p>სტრუქტურა, რომელიც მიწასა და იჯარებს დაარეგისტრირებს. დაცული ტერიტორიების სააგენტოს გაფორმებული აქვს ურთიერთგაგების მემორანდუმი რეესტრთან, რათა მიწის რეგისტრაციის ზოგიერთი პროცედურა გამარტივდეს.</p>
<p>ევროკავშირის/გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტი: „სამოვრების მდგრადი მენეჯმენტი საქართველოში, რათა მოხდეს კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტირების შედეგად ადგილობრივი თემებისათვის სარგებლებისა და დივიდენდების დემონსტრირება.“</p>	<p>პროექტმა დააფინანსა მენეჯმენტის მოცემული გეგმის შემუშავება და ასევე, რამდენიმე ძირითადი საქმიანობის განხორციელება და გარკვეულწილად, 2016 წლამდე გააგრძელებს ამ გეგმის განხორციელების დაფინანსებას.</p>

დედოფლისწყაროსა და ახმეტის მუნიციპალიტეტების ვეტერინარები	საკონტაქტო პირები თუშმეცხვარეთათვის ვეტერინარული მომსახურების მიწოდების პროცესში.
ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	ადგილზე ახორციელებს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისა და საძოვრებთან დაკავშირებული საკითხების მენეჯმენტს; აქ მუშაობენ კონკრეტული თანამშრომლები, რომლებიც მომავალში პასუხისმგებელი იქნებიან საძოვრების მენეჯმენტზე.
„ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია“	არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მხარდამჭერებს; ასოციაცია წარმოადგენს პოტენციურ პარტნიორს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის, საძოვრების მენეჯმენტთან დაკავშირებული ინიციატივების საკითხებში.

<p>„ეროზიის ინტეგრირებული კონტროლის ღონისძიებების ამხრეთკავკასიაში“</p>	<p>გერმანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტი, რომლის ამოცანაა ეროზიის ინტეგრირებული კონტროლის კონცეფციების შეტანა იმ ეროვნულ მარეგულირებელ წესებში, რომლებიც ეხება მიწის მდგრად გამოყენებასა და ბიომრავალფეროვნების დაცვას.</p>
<p>ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია</p>	<p>ადგილზე ახორციელებს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისა და საძოვრებთან დაკავშირებული საკითხების მენეჯმენტს; აქ მუშაობენ კონკრეტული თანამშრომლები, რომლებიც მომავალში პასუხისმგებელი იქნებიან საძოვრების მენეჯმენტზე.</p>

სურათი 3 – მონაწილე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მატრიცა

<p>მაღალი</p> <p>↑</p> <p>ზეგავლენის დონე</p> <p>↓</p> <p>დაბალი</p>	<p><b>ჩართვა/კონსულტაციები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• "ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია"</li> <li>• დედოფლისწყაროსა და ახმეტის მუნიციპალიტეტების ვეტერინარები</li> </ul>	<p><b>თანამშრომლობა/ძალაუფლების მინიჭება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დაცული ტერიტორიების სააგენტო/ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები</li> <li>• ინდივიდუალური მეცხვარეები</li> <li>• საქართველოს მთავრობა</li> <li>• ევროკავშირის/გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტი</li> <li>• NACRES</li> <li>• ახმეტის მუნიციპალიტეტი</li> <li>• დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი</li> <li>• საჯარო რეესტრი</li> <li>• ასოციაცია „თუში მეცხვარე“</li> <li>• ეროზიის ინტეგრირებული კონტროლის პროექტი</li> </ul>
	<p><b>ინფორმირება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სოფლის მეურნეობის სამინისტრო</li> <li>• საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია</li> </ul>	<p><b>კონსულტაციები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“</li> </ul>
	<p>←</p> <p>ინტერესის დონე</p> <p>→</p>	<p>დაბალი</p> <p>მაღალი</p>

### 3.7 სამოვრების მენეჯმენტის პოტენციალი

ამჟამად, დაცული ტერიტორიების სისტემის ფარგლებში, არ არსებობს კონკრეტული თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა სამოვრების მენეჯმენტზე. დაცული ტერიტორიების კონტექსტში, სამოვრების მენეჯმენტის ძლიერი პოტენციალის საჭიროება სცილდება ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ფარგლებს. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების გარდა, სამოვრების მენეჯმენტის საკითხი აქტუალურია სხვა დაცული ტერიტორიებისთვისაც, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის, ჯავახეთის, თუშეთისა და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ჩათვლით. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები ერთ-ერთი პირველი იქნება, რომლებსაც სამოვრების მენეჯმენტის გეგმა ექნებათ და, შესაბამისად, ის შეიძლება იქცეს ცენტრად სამოვრების მენეჯმენტის პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის.

NACRES-ის დახმარებით, სამოვრების შეფასების საკითხებზე ტრენინგი დაცული ტერიტორიების სააგენტოს რამდენიმე თანამშრომელმა გაიარა. მათ შორის იყვნენ თანამშრომლები თუშეთიდან და ლაგოდეხიდან და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების 4 რეინჯერი.

### 3.8 ვეტერინარული მომსახურება

საქართველოში ვეტერინარული პროგრამების შემუშავება-განხორციელებაზე პასუხისმგებელია სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო. მისი უფლება-მოვალეობები ვეტერინარულ მზრუნველობასთან დაკავშირებით, რეგულირდება კანონით ვეტერინარული მომსახურების შესახებ (1995, #27-30) და სააგენტოს მარეგულირებელი წესით (სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება (14 მარტი, 2006 #2-44).

2015 წელს, სააგენტო ახორციელებს ციმბირის წყლულის, ცოფის, სიკვდილის გამომწვევი დაავადებებისა და ყვავილის პრევენციის სახელმწიფო პროგრამას. ნებისმიერი სხვა დაავადების პრევენციისთვის საჭირო პროფილაქტიკური ღონისძიებები ფინანსდება მეცხვარეთა მიერ. მაგალითად, იმ მესაკუთრეებმა, რომელთა საქონელიც იზამთრებს დედოფლისწყაროში, უნდა გადაიხადონ ბრადზოტის საწინააღმდეგო ვაქცინაციის საფასური, ხოლო მაისში - ტკიპებით გადამტანი დაავადებების დამცავ ხსნარში ცხვრის დაბანა-დამუშავების ღირებულება. ამჟამად, სააგენტო ტუბერკულოზისა და ბრუცელოზის საწინააღმდეგო სახელმწიფო პროგრამის შემუშავების პროცესშია.

სოფლად მცხოვრები საქონლის მესაკუთრეები ხშირად ასეთ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს არ ახორციელებენ და პოპულაციაში დაავადებათა გავრცელების საფრთხეც წარმოიქმნება.

2008 წლის შემდეგ გაუქმდა მობილური ვეტერინარული ჯგუფები. დედოფლისწყაროში არის ერთი ვეტერინარული პუნქტი, მაგრამ ფერმერები ალვანში ჩასვლას ამჯობინებენ, მიუხედავად იმისა, რომ დროც მეტი ეხარჯებათ და ფულიც. ამიტომ, ხშირად არა მხოლოდ მკურნალობა, არამედ დაავადებების პოტენციური გავრცელების საწინააღმდეგო ვეტერინარული ჩარევაც საკმაოდ დაგვიანებულია.



## 4 მართვის გეგმის ქმედებები

### 4.1 მართვის სქემა

#### 4.1.1 სამართლებრივი საკითხები

ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში ძოვება დარეგულირდება საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე. იჯარით გასაცემი სამოვრების საზღვრების დასადგენად სააგენტო იხელმძღვანელებს დანართებში #6 და #7 წარმოდგენილი რუკებით. თითოეულ სამოვარზე ცხვრის დასაშვები სულადობა განისაზღვრება 2015 წელს ჩატარებული სამოვრების შეფასების შედეგებზე დაყრდნობით (იხ. თავი „სულადობა“). სამოვრის იჯარის ღირებულებას ადგენს სააგენტოს მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანია.

#### 4.1.2 ორგანიზაციული საკითხები

სააგენტოს გრძელვადიანი მიზანია, სამოვრების მართვის სპეციალური საშტატო ერთეულის (სამოვრების მართვის სპეციალისტის) ან, საუკეთესო შემთხვევაში, ცალკე სამსახურის დაარსება, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე.

სამოვრების მართვის სამსახურის/სპეციალისტის სამუშაოს აღწერილობა უნდა მოიცავდეს შემდეგ მოვალეობებს:

- ზედამხედველობა სამოვრების მართვის გეგმის განხორციელებაზე;
- სამოვრების მართვა და მართვის საკითხების კოორდინაცია ადგილობრივ დონეზე;
- ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ინტერესების დაცვა სამოვრების მართვის საბჭოში;
- ანგარიშგება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან სამოვრების მართვის საკითხებში;
- დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კომუნიკაცია;
- სამოვრების მონიტორინგის პროცესის კოორდინაცია და შედეგების ასახვა მენეჯმენტის გეგმაში;
- თანხების მოზიდვა სამოვრების მართვის გეგმების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

ცალკე სამსახურის ან საშტატო ერთეულის დამატება ფინანსურ და ადმინისტრაციულ სირთულეებს უკავშირდება, რაც ამ ეტაპზე სააგენტოს დამაბრკოლებელ გარემოებად მიაჩნია. მეორე მხრივ, სამოვრები დაცული

ტერიტორიების სისტემისათვის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, სამოვრების ეფექტური მართვა მოითხოვს, სულ ცოტა, არსებული კადრების სამუშაო აღწერილობაში ცვლილებების შეტანას და სამოვრების მართვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების გარკვეულწილად გადანაწილებას. საწყის ეტაპზე, აღნიშნულ მოვალეობებს ადგილზე შეითავსებს ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი, ხოლო ცენტრალურ დონეზე - განვითარების სამსახური. სამომავლოდ, სააგენტო იზრუნებს სამოვრების მართვის სპეციალისტის ცალკე სამტატო ერთეულის ან შესაბამისი სამსახურის დამატებაზე.

#### **4.1.3 მონაწილეობითი მმართველობის პლატფორმის შექმნა**

სამოვრების ღია და მონაწილეობითი მართვის უზრუნველსაყოფად, სააგენტოს და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ეგიდით, დაარსდება სამოვრების მართვის დამოუკიდებელი საბჭო, რომელიც შეასრულებს მრჩეველის ფუნქციებს. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებები არ იქნება შესასრულებლად სავალდებულო, სააგენტო და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია, მათი უფლებამოსილების ფარგლებში, მაქსიმალურად გაითვალისწინებენ საბჭოს რეკომენდაციებს. წინამდებე შემთხვევაში, წერილობით დაასაბუთებენ უარს რეკომენდაციის მიღებაზე.

საბჭო შეიქმნება დაცული ტერიტორიების თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე და დაკომპლექტდება შემდეგი დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებით:

- დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია;
- თუმ მეცხვარეთა ასოციაცია;
- ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობრები;
- შესაბამისი საერთაშორისო პროექტები, როგორცაა "საქართველოში სამოვრების მდგრადი მართვა ადგილობრივი თემებისათვის კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის სარგებლისა და დივიდენდების დემონსტრირების მიზნით";
- ახმეტის მუნიციპალიტეტი;
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი;
- სურსათის უვნებლობის სააგენტო;
- ფერმერები/მეცხვარეები;
- ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“;
- კახეთის ვეტერინართა ასოციაცია;
- „ნაკრესი“ - ბიომრავალფეროვნებისა და კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი;

- შპს "თუშური ცხვრის ჯიშთსაშენი".

საბჭო შეხვედრებს გამართავს გეგმიურად, წელიწადში ორჯერ და საჭიროების მიხედვით.

#### **4.1.4 შესაძლებლობების გაძლიერება**

შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები გატარდება ფერმერებთან/მეცხვარეებთან და დაცული ტერიტორიების სისტემაში, როგორც ადილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე.

სააგენტოს და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლები გაივლიან საწვრთნელ კურსს საძოვრების შეფასების მეთოდოლოგიასა და მონიტორინგში. კურსი სავალდებულოა შემდეგი კადრებისთვის:

1. ბუნებრივი რესურსების მართვის სპეციალისტი ცენტრალურ დონეზე;
2. ბუნებრივი რესურსების მართვის სპეციალისტი ადგილობრივ დონეზე;
3. რეინჯერები.

სააგენტოსა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების წარმომადგენლები, თუმცა მეცხვარეებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ სასწავლო ტურში საძოვრების მართვის საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის მიზნით; საშუალება ექნებათ გაეცნონ არიდულ ეკოსისტემებში საძოვრების პროდუქტიულობის გაუმჯობესების პრაქტიკულ ღონისძიებებს.

შემუშავდება და გამოიცემა „მეცხვარის გზამკვლევი“, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი მართვის გეგმით გათვალისწინებული საძოვრის გაუმჯობესების ის ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც უშუალოდ მეცხვარეთა ინტერესებში შედის. გზამკვლევი ასევე მოიცავს ვეტერინარიის, მეცხვარე ძაღლების მოშენებისა და გამოყენების, მარკეტინგისა და ცხვრის ბიზნესის გაუმჯობესების ღონისძიებებს. გზამკვლევი დაურიგდებათ მეცხვარეებს. გზამკვლევი მოცემული საკითხები კიდევ უფრო დაწვრილებით საინფორმაციო სემინარებსა და შეხვედრებზე განიხილება.

#### **4.1.5 მიწის მართვა**

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების დემარკაციის დასრულების შემდეგ, სააგენტო დაარეგისტრირებს „სუფთა საძოვრებს“ დანართში #7 წარმოდგენილი რუკების საფუძველზე. ამის შემდეგ, დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანია დაადგენს იჯარით გასაცემი ფართობის საბაზრო ფასს ერთ ჰექტარზე.

დაცული ტერიტორიების სააგენტო, შესაბამისი მუნიციპალიტეტისგან მიღებული დაინტერესებული მეცხვარეების სიის საფუძველზე, გააფორმებს იჯარის ხელშეკრულებებს. დანართში #9 იხილეთ იჯარის ხელშეკრულების ფორმა.

სამოვრების მომხმარებლების სია 2015 წლის ნოემბრის მდგომარეობით, იხილეთ დანართში #2

მიწის მართვასთან დაკავშირებული საკითხებისთვის იხილეთ ანგარიში დანართში #10.

#### 4.1.6 საქონლის სულადობა

2015 წლის სამოვრების შეფასებამ დაადგინა ცხვრის სულადობის შემცირების აუცილებლობა შემდეგ სამოვრებზე:

##### გრაფა A2

სამოვარი #	სუფთა სამოვარი (ჰა)	ცხვრის არსებული რაოდენობა	ცხვრის არსებული სულადობა 1 ჰექტარზე	ცხვრის მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა	შესამცირებელი ცხვრის რაოდენობა
1	186	462	2,48	396,8	65,2
3	269	1090	4,06	806,4	283,6
18,21,44 *	540	2536	4,7	1551	985
19,25 *	488	2166	4,44	1196	970
28	103	854	8,32	205,2	648,8
29	171	840	4,91	513	327
30	266	820	3,09	664	156
31	315	1200	3,81	944,4	255,6
34	230	1700	7,4	635,9	1064,1
35	76	318	4,18	211	107
36	244	720	2,95	517	203
37	116	588	5,06	318,2	269,8
42	172	756	4,4	474,4	281,6
<b>სულ</b>	<b>3176</b>	<b>14050</b>		<b>8433,3</b>	<b>5616,7</b>

\*სამოვრების დაჯგუფება განაპირობა ერთი მეცხვარის მიერ რამდენიმე სამოვრის ერთდროულად გამოყენებამ.

2015 წლის საძოვრების შეფასებამ დაადგინა ცხვრის სულადობის გაზრდის შესაძლებლობა შემდეგ საძოვრებზე:

**გრაფა A3**

საძოვარი #	სუფთა საძოვარი (ჰა)	ცხვრის არსებული რაოდენობა	ცხვრის არსებული სულადობა 1 ჰექტარზე	ცხვრის მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა
2	333	554	1,66	999,3
6	499	1296	2,60	1790,4
7	536	1107	2,07	1148,1
8	505	1285	2,55	1644,3
9	273	891	3,27	673,3
10	614	1089	1,77	1569,4
11	676	970	1,44	1676,3
12	419	912	2,18	1257,6
13,17*	692	1410	2,04	1928
14,15,16*	1302	1638	1,26	3865
20	309	720	2,33	708,1
22	215	870	4,05	644
24	426	1080	2,53	1336
26	240	384	1,60	721
27	304	625	2,06	911
33	660	1272	1,93	1461,2
38	161	0	0,00	483,6
39	360	480	1,33	720

40	412	161	0,39	824,6
41	172	0	0,00	400
43	229	390	1,71	520
45	277	0	0,00	830,4
46	165	0	0,00	494,1
47	207	456	2,20	501,6
48	177	0	0,00	531,3
<b>სულ</b>	<b>10163</b>	<b>17590</b>		<b>27638,6</b>

\*სამოვრების დაჯგუფება განაპირობა ერთი მეცხვარის მიერ რამდენიმე სამოვრის ერთდროულად გამოყენებამ.

შეფასების შედეგებით, შესაძლებელია სამოვრების დაყოფა 2 კატეგორიად:

1. სამოვრები, სადაც შესაძლებელია ცხვრის რაოდენობის გაზრდა;
2. სამოვრები, სადაც აუცილებელია ცხვრის რაოდენობის შემცირება.

მიუხედავად იმისა, რომ შეფასების შედეგები იძლევა ცხვრის რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობას სამოვრების უმრავლეს ნაწილზე, სააგენტო ეყრდნობა სიფრთხილის პრინციპს (1987 წ. მონრეალის პროტოკოლი და 1992 წ. რიო-დე ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენცია), რადგან სამოვრების შეფასება მხოლოდ ერთჯერადად ჩატარდა, ინარჩუნებს სტატუს ქვოს და სამოვრების იჯარით გაცემისას ცხვრის მაქსიმალურ რაოდენობას აწესებს "ცხვრის არსებული სულადობის" მიხედვით (გრაფა A3, ველი "ცხვრის არსებული რაოდენობა"), გარდა იმ სამოვრებისა, რომლებიც 2015 შეფასებისას თავისუფალი იყო. ასეთ სამოვრებზე ცხვრის მაქსიმალური რაოდენობა უნდა განისაზღვროს სამოვრების მდგომარეობის შეფასების მონაცემებზე დაყრდნობით და სიფრთხილის მიზნით მიენიჭოს შეფასებისას მიღებულ მაჩვენებელზე ერთი საფეხურით ნაკლები დატვირვა.

სამოვრებზე, სადაც 2015 წლის შეფასების შედეგებით აუცილებელია ცხვრის რაოდენობის შემცირება (გრაფა A2), სააგენტო ირჩევს ტრადიციული მიწათმოსარგებლებისთვის ხელსაყრელ მიდგომას. კერძოდ: მეცხვარეებს, რომლებიც ტრადიციულად იყენებენ სამოვრებს, შეუწინააღმდეგებლათ ცხვრის არსებული რაოდენობა (გრაფა A2, ველი "ცხვრის არსებული რაოდენობა"). ხოლო მეცხვარეებს, რომლებიც პირველად გამოიყენებენ ამა თუ იმ სამოვარს, მოეთხოვებათ სულადობის დაცვა შეფასების შედეგების მიხედვით (გრაფა A2, ველი "ცხვრის მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა").

გრაფა A4 აჯამებს ცხვრის სულადობის მოთხოვნებს თითოეულ სამოვარზე "სიფრთხილის პრინციპისა" და ტრადიციული მიწათმოსარგებლების ინტერესების გათვალისწინებით:



**გრაფა A4**

საძოვარი #	სუფთა საძოვარი (ჰა)	ცხვრის მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა ტრადიციული მიწათმოსარგებლებისთვის	ცხვრის მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა ახალი მიწათმოსარგებლებისთვის
1	186	462	396,8
2	333	554	554
3	269	1090	806,4
6	499	1296	1296
7	536	1107	1107
8	505	1285	1285
9	273	891	891
10	614	1089	1089
11	676	970	970
12	419	912	912
13,17*	692	1410	1410
14,15,16*	1302	1638	1638
18,21,44*	540	2536	1551
19,25*	488	2166	1196

20	309	720	720
22	215	870	870
24	426	1080	1080
26	240	384	384
27	304	625	625
28	103	854	205,2
29	171	840	513
30	266	820	664
31	315	1200	944,4
32	471	900	900
33	660	1272	1272
34	230	1700	635,9
35	76	318	211
36	244	720	517
37	116	588	318,2
38	161	0	161
39	360	480	360
40	412	161	412

41	172	0	172
42	172	756	474,4
43	229	390	229
45	277	0	277
46	165	0	165
47	207	456	207
48	177	0	177
<b>სულ</b>	<b>13808</b>	<b>32540</b>	<b>27596,3</b>

## 4.2 სამოვრების გაუმჯობესების ღონისძიებები

სამოვრების მდგომარეობისა და ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით, შეირჩა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სამოვრების პროდუქტიულობის ზრდას და საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ვაშლოვანის ეროვნული პარკის სამოვრებისთვის მიზანშეწონილია მხოლოდ ზედაპირული გაუმჯობესების ღონისძიებების გატარება. ზედაპირული ღონისძიებები გამართლებულია როგორც ეკოლოგიური, ისე ფინანსური თვალსაზრისით – ძირეული ღონისძიებებისგან განსხვავებით, ზედაპირული ღონისძიებები არ მოითხოვს ძვირადღირებულ სამელიორაციო აქტივობებს.

ზედაპირული ღონისძიებები გულისხმობს სამოვრის პროდუქტიულობისა და ყუათიანობის ამაღლებას, მისი ფლორისტული შემადგენლობის გაუმჯობესებას არსებული ბუნებრივი ბალახნარის შენარჩუნების პირობებში.

ზედაპირული გაუმჯობესების შერჩეული ღონისძიებები მოიცავს სავარგულებში სარეველების წინააღმდეგ ბრძოლას, განოყიერებას, გამოვების ტექნიკას, ჯერადობის დაცვას, რეგულირებადი ძოვებისა და სამოვართბრუნვის შემოღებას. შერჩეული ღონისძიებების ეფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მათ კომპლექსურად განხორცილებაზე.

### 4.2.1 გაუმჯობესებადი ბალახების წათიბვა

სამოვრის მაღალი პროდუქტიულობის, ბალახნარის სასურველი ბოტანიკური შედგენილობის, კვებითი ღირებულების მიღწევა და შენარჩუნება შესაძლებელია სავარგულის სისტემატური მოვლის პირობებში.

ვაშლოვანის ეროვნული პარკის გარკვეულ ფართობებზე რჩება გაუმჯობესებადი ბალახნარი, რაც აფერხებს მომდევნო წელს მის განვითარებას. ამასთან, არარეგულირებული ძოვების გამო, სამოვარზე რჩება საკვებად გამოუსადეგარი სახეობები, გადაბერებული ბალახი და სარეველები. თესლის მომწიფების შემდეგ ისინი კიდევ უფრო ამრავლებენ სარეველას, ჩაგრავენ საკვებად ძვირფას მცენარეებს. ასევე, ცხოველები არ ძოვენ ნაკვეთით ძლიერ დაბინძურებულ ადგილებზე ამოსულ ბალახს.

ძოვების სეზონის დამთავრებისთანავე, აუცილებელია მექანიზებული წესით გაუძოვარი ბალახის სისტემატური წათიბვა 5-6 სმ სიმაღლეზე. ეს ღონისძიება ეფექტურია სარეველებისა და დაბალი კვებითი ღირებულების მცენარეების ნაყოფმსხმოიარობასა და გავრცელების საწინააღმდეგოდ. ამასთან, ხელს უწყობს ახალი ფესვებისა და ფოთლების წარმოქმნას, ბალახნარის ძოვადობის გაზრდას და ხარისხის გაუმჯობესებას. შეიძლება წათიბული მასის ადგილზე დატოვება, დიდი რაოდენობის შემთხვევაში კი, საჭიროა მისი მოფოცხვა და შეგროვება; შეიძლება ცხვრის ქვეშაფენად ან, ვარგისიანობის შესაბამისად, თივად, ან სენაჟად გამოყენება.

რეგულირებადი ძოვებისას წათიბული მასის შეგროვება არ არის საჭირო და ის ცხოველების საკვებად გამოიყენება. წათიბული ბალახის მოფოცხვა და შეგროვება აუცილებელია დიდი რაოდენობით (> 1 ტ/ჰა) გაუძოვარი მასის შემთხვევაში. ბალახის წათიბვა სასურველია დაგვიანებული გაძოვების შემთხვევაშიც.

ნიადაგსა და მცენარეულ საფარზე მინიმალური ზემოქმედებისთვის გამოიყენება შედარებით მცირე სიმძლავრის (25-30 ც/მ) მინიტრაქტორები, რომელთა სამუშაო წონა 800-1000 კგ ფარგლებში მერყეობს (სურ. 1). აღნიშნული მახასიათებლების მქონე ტრაქტორი და შესაბამისი სათიბი აგრეგატი (მოდების განი 1.6-2.4 მ; სურ. 2) 20000-30000 ლარი ღირს, მწარმოებლის გათვალისწინებით.



სურ. 1



სურ. 2

#### **4.2.2 მოვების დაწყების და შეწყვეტის ვადები.**

ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში მოვების დაწყება დასაშვებია 15 ოქტომბერიდან, ხოლო შეწყვეტის ვადაა 15 მაისი.

#### **4.2.3 გამოვების სიმაღლე**

საძოვრის პროდუქტიულობის შენარჩუნებასა და მისი განახლების უნარზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ბალახნარის გამოვების სიმაღლე, რომელიც არ უნდა იყოს 4-5 სმ-ზე დაბალი და ამასთან, მისი სიმაღლე არ უნდა დარჩეს 10-15 სმ, ასეთ შემთხვევაში საძოვარი არასრულად გამოიყენება.

#### **4.2.4 საძოვრის განოციერება**

ვაშლოვანის ეროვნული პარკის საძოვრების ქვეშ ძირითადად დამლაშებული ნიადაგებია, რომლებზეც გავრცელებულია ავშნიანი, წითელწვერიანი, ხურხუმოიანი, ჩარანიანი, ყარღნიანი და უროიანი დაჯგუფებები. ეს საძოვრები დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდება, რასაც ხელს უწყობს წყლის ნაკლებობა და ნიადაგის არახელსაყრელი პირობები. დამლაშებული ნიადაგების გაუმჯობესების სხვადასხვა ხერხი არსებობს. ეკოლოგიური და ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებულია მხოლოდ ბუნებრივი წარმოშობის ორგანული სასუქების გამოყენება.

ორგანული სასუქებიდან შესაძლებელია ნაკელის, ტორფის, კომპოსტის გამოყენება. ყველაზე იაფი და ხელმისაწვდომი სასუქი - ნაკელია, რომლის აღება ახლომდებარე ფერმებიდან შეიძლება, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ტრასპორტირების ხარჯებს. სასუქების შეტანა შესაძლებელია მექანიზებული წესით. გამოიყენება ნაკელგამფანტავი სასოფლო-სამეურნეო მანქანები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნაკელის თანაბარ განაწილებას ფართობის ზედაპირზე.

ნაკელის შეტანა ხდება წინასწარ შედგენილი სქემის მიხედვით. გასანოციერებელი ფართობი დგინდება დაგროვილი ნაკელის რაოდენობის გათვალისწინებით. პირველ რიგში, ნაკელის შეტანა უნდა მოხდეს იმ სავარგულზე, რომელიც დაბალი ხარისხის საკვებს იძლევა, მაგრამ ხასიათდება ბალახნარის დამაკმაყოფილებელი სახეობრივი შედგენილობით.

ნაკელის შეტანით მოხდება ნიადაგში საკვები ელემენტების ბალანსის გაუმჯობესება, ნაკელი ხელს შეუწყობს ნიადაგში ორგანული ნივთიერებების მარაგის (შესაბამისად, ორგანული ნახშირბადის) გაუმჯობესებას. შეტანილი ნაკელის 75-80% განიცდის მინერალიზაციას (დაშლას), რასაც თან სდევს მცენარის საკვები ელემენტებისგან გამოთავისუფლება, ხოლო 20-25% ხმარდება ნიადაგში ორგანული ნივთიერების მარაგის შექმნას ნიადაგის პოტენციური ნაყოფიერების ამაღლებისა და წყალდაკავების უნარის გასაუმჯობესებლად.

ბალახნარის ზრდის სტიმულირებისთვის სასურველია ადრე გაზაფხულზე ხსნადი ორგანული სასუქების 2-3 ჯერადი შეტანა. ბიოსასუქები დამზადებულია ბუნებრივი წარმოშობის ნედლეულისგან, შეიცავს ამინომჟავებს, ოლიგოპეპტიდებს, ვიტამინებს, ფიტოჰორმონებს, მაკრო და მიკროელემენტებს. სასუქები არატოქსიკურია და სერტიფიცირებულია ორგანულ სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლად. ხსნადი ორგანული სასუქების კონცენტრატები წყალში გაზავების შემდეგ, შეიტანება ფესვგარეშე (ფოთლოვან) გამოკვებაში შესხურებით. გასანოყიერებელი ფართობების სიდიდის გათვალისწინებით, ოპერაცია სრულდება მექანიზებული წესით, სპეციალური შესასხურებელი სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენებით.

ნიადაგსა და მცენარეულ საფარზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველსაყოფად გამოიყენება შედარებით მცირე სიმძლავრის (25-30 ც/მ) მინიტრაქტორები, რომელთა სამუშაო წონა 800-1000 კგ ფარგლებში მერყეობს (სურ. 3). აღნიშნული მახასიათებლების მქონე ტრაქტორისა და შესაბამისი სასუქის შემტანი (500-700 კგ; სურ. 4) და შესაწამლი მისაბმელი აგრეგატების (500-800 ლ; სურ. 5) ღირებულება 20000-35000 ლარია, მწარმოებლის გათვალისწინებით.



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5

#### **4.2.5 რეგულირებული ძოვების სისტემა**

რეგულირებული ძოვების სისტემა გულისხმობს ძოვების დროისა და ფართობების შეზღუდვას ნაკვეთების მონაცვლეობის პირობებში. რეგულირებული ძოვების სისტემა უზრუნველყოფს გამოვებებს შორის ბალახნარის აუცილებელ დასვენებას, გამორიცხავს ბალახნარის ხანგრძლივ და განუწყვეტელ ძოვებას.

რეგულირებადი ძოვების სისტემის განხორციელება ვაშლოვანის ეროვნული პარკის სამოვრებზე, შესაძლებელია ნაკვეთმორიგეობითი პრინციპის შემოღებით. მეცხვარის თითოეული ბინის მიერ გამოყენებული ფართობი უნდა დაიყოს ნაკვეთებად, რომლის გამოვებაც მოხდება მორიგეობით ისე, რომ ერთ ნაკვეთზე ცხოველის ძოვების ხანგრძლივობა არ აღემატებოდეს 5-6 დღეს. ამით გამორიცხება კვლავ წამოზრდილი ქორფა ბალახის ნაადრევი ხელმეორე მოძოვა და ჰელმინთებით დაავადება.

სამოვრის საერთო ფართობისა და ცხოველთა სულადობის მიხედვით, ნაკვეთმორიგეობითი ძოვების სისტემა შეიძლება იყოს: 1) მსხვილნაკვეთიანი, როდესაც სამოვარი 4 ან მაქსიმუმ 6-8 ნაკვეთად იყოფა და თითოეული მათგანის გამოვების ხანგრძლივობა 4-8 დღეა; 2) წვრილნაკვეთიანი, როდესაც სამოვარზე გამოიყოფა 12-36 ნაკვეთი და თითოეული მათგანი გამოიყენება 1-3 დღის მანძილზე.

ნაკვეთმორიგეობის სქემა კონკრეტული სამოვრებისთვის იხილეთ დანართში #4.

#### **4.2.6 სამოვართბრუნვა**

სამოვარზე რეგულირებული ძოვების სისტემის არსებობის შემთხვევაშიც კი, წლიდან წლამდე ერთი და იმავე რეჟიმით სამოვრის გამოყენება საბოლოოდ მაინც უარყოფითად აისახება ბალახნარის მოსავლიანობაზე და მის ბოტანიკურ შედგენილობაზე. აუცილებელია სამოვართბრუნვის შემოღება, რაც გულისხმობს ძოვების ვადებისა და გამოყენების ჯერადობის დადგენას, გამოვებისა და გათიბვის, გამოვებისა და დასვენების, თესლის მომწიფების შემდეგ გამოყენების და ძოვების სეზონის შენაცვლებას წლების მიხედვით.

სამოვრის გამოყენების ვადების შენაცვლება წლების მიხედვით, ხორციელდება ნაკვეთების გამოვების დაწყების მონაცვლეობით. ძლიერ



გადაქელილ და დეგრადირებულ სამოვარზე, ერთი ან რამდენიმე წლით იზღუდება ძოვება და მხოლოდ მისი აღდგენის შემდეგ იწყება მისი ეტაპობრივი დატვირთვა.

ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი საკვები სავარგულების თითოეული უბნისთვის საჭიროა ინდივიდუალური სამოვრის წლიური და სრული ბრუნვის შემოღება.

#### ***4.2.7 სამოვრის გადაწვის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები***

ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე სამოვრების გადაწვა იკრძალება კანონით. მაგრამ მეცხვარეები მაინც უკიდებენ ცეცხლს სამოვრებს. ბალახის გადაწვის უპირატესობა განპირობებულია ეკონომიკური ფაქტორებით, რადგან გადაწვა უფრო მცირე დანახარჯებთანაა დაკავშირებული, ვიდრე გათიბვა. ამასთან, ზოგიერთი კვლევით დასტურდება, ცალკეულ შემთხვევაში, გადაწვის შემდგომ სამოვრის პროდუქტიულობის გაუმჯობესება. მიუხედავად ამისა, გადაწვას თან სდევს მთელი რიგი უარყოფითი შედეგები. უპირველეს ყოვლისა, მცირდება ნიადაგში ორგანული ნახშირბადისა და აზოტის მარაგი, ნიადაგი დაუცველი რჩება ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისგან, მცირდება მცენარისთვის ხელმისაწვდომი ფოსფორისა და ამონიუმის შემცველობა; გადაწვა უარყოფითად მოქმედებს ნიადაგის ფიზიკურ თვისებებზეც. კერძოდ, უარესდება ნიადაგის სტრუქტურა (სიმკვრივის მომატების და ფორიანობის შემცირების შედეგად), რაც თავის მხრივ ამცირებს ნიადაგში წყლის ჩაჟონვასა და წყალდაკავების უნარს.

სააღსრულებო ღონისძიებების პარალელურად, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია „მეცხვარის გზამკვლევისა“ და შეხვედრების საშუალებით, მიაწვდის მეცხვარეებს ინფორმაციას გადაწვის უარყოფითი ზეგავლენის შესახებ.

#### ***4.2.8 პრიორიტეტული ადგილები სამოვრის გაუმჯობესების ღონისძიებებისთვის***

2015 წლის სამოვრის მდგომარეობის შეფასების მონაცემებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოიყოს ის პრიორიტეტული ადგილები, რომელსაც პირველ რიგში ესაჭიროება აღდგენის ღონისძიებების ჩატარება.

აღნიშნული ტერიტორიების რუკა იხილეთ დანართში # 12. ღონისძიებები, მართვის გეგმის მოქმედების ვადაში უნდა განახორციელოს დაცული ტერიტორიების სააგენტომ.

გარდა დეგრადაციის ხარისხისა, პრიორიტეტული ადგილები შეირჩა ტერიტორიის ერთგვაროვნების და ადვილად მისადგომობის ნიშნით, რათა უკეთ მოხდეს ღონისძიების შედეგების ილუსტრირება და ამასთან, პირველ ეტაპზე, არიდებული იქნეს რთული რელიეფით გამოწვეული გართულებები.

#### **სამოვრების განოციერების ადგილები**

ა) ნიადაგის განმეორებითი განოციერება 2015 წელს, UNDP-ს პროექტის „საქართველოში სამოვრების მდგრადი მართვა ადგილობრივი თემებისთვის კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის სარგებლისა და დივიდენდების დემონსტრირების მიზნით“ ფარგლებში ჩატარებული ღონისძიების ადგილზე

ბ) პირუტყვის სეზონური და დღიური გადარეკვის დერეფანი

გ) მართვის ერთეულები -25B, 25C, 44A, 21A და 21B.

**გაუმოვარი ბალახის (მათ შორის სარეველების) წათიბვა:**

მართვის ერთეულები - 27A, 28A, 11D, 11C, 6B, 15A.

#### **რეგულირებული ძოვება**

სამოვრის ნაკვეთი 13, 17.

### **4.3 სამოვრების მონიტორინგი**

სამოვრების შეფასება განხორციელდება ყოველწლიურად 2019 წლის ჩათვლით დანართში #11 წარმოდგენილი სახემძღვანელოს გამოყენებით

## 4.4 განხორციელების გეგმა

### 4.4.1 მართვის გეგმის განხორციელების მონიტორინგი

ამოცანა	შედეგი	შენატანი/აქტივობა	ინდიკატორი	გადამოწმების საშუალება	დაშვება
სამოვრების მართვის ინტეგრირება ორგანიზაციულ საქმიანობაში.	ცალკე საშტატო ერთეული ან არსებული კადრის მოდიფიცირებული სამუშაო აღწერილობა (ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე).	-სამუშაო აღწერილობის ან შესაბამისი დოკუმენტის შედგენა/განახლება.	- სულ მცირე ორი თანამშრომელი (ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე) პასუხისმგებელია და ევალება სამოვრების მართვის საკითხები.	სამუშაო აღწერილობა/ დანიშვნის ბრძანება.	მოტივირებული თანამშრომლები.
არსებობს და ფუნქციონირებს თანამონაწილეობით მმართველობის მექანიზმი.	-ფუნქციური სამოვრების მართვის საბჭო.	-საბჭოს შექმნის ბრძანების მომზადება; -საბჭოს წესდების მომზადება; -საბჭოს დაკომპლექტება; -საბჭოსთან ეფექტური კომუნიკაცია; -შეხვედრების ორგანიზება;	-ბრძანება ძალაშია; -საბჭო ფუნქციონირებს და მართავს გეგმიურ შეხვედრებს; -სააგენტო ითვალისწინებს საბჭოს რეკომენდაციებს.	-ოფიციალური დოკუმენტები (ბრძანება); -შეხვედრების ოქმი; -სამოვრების მართვის სპეციალისტის ანგარიშები საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ.	საბჭოს წევრების ინტერესი და აქტიური მონაწილეობა შეხვედრებში და საკითხების განხილვა/გადაწყვეტაში.

ამოცანა	შედეგი	შენატანი/აქტივობა	ინდიკატორი	გადამოწმების საშუალება	დაშვება
		- კოორდინაცია.			
სამოვრების მართვის შესაძლებლობების გაძლიერება	-ჩატარებულია სამოვრების შეფასებასა და მონიტორინგში თანამშრომლების ტრენინგები; -თანამშრომლები და მეცხვარეები იცნობენ სამოვრების მართვის საერთაშორისო პრაქტიკას; -სამოვრების მართვის გზამკვლევი ხელმისაწვდომია მეცხვარეებისთვის.	- საწვრთნელი კურსის ორგანიზება/ჩატარება; -სასწავლო ტურის ორგანიზება/ჩატარება; -„მეცხვარის გზამკვლევის“ შემუშავება და გამოცემა; -მეცხვარეებისთვის საინფორმაციო შეხვედრებისა და სემინარების ორგანიზება.	-სულ ცოტა ოთხ თანამშრომელს გავლილი აქვს საწვრთნელი კურსი და შეუძლია დამოუკიდებლად მოახდინოს სამოვრების შეფასება; -სულ ცოტა 5-მა თანამშრომელმა და 5-მა მეცხვარემ მიიღო მონაწილეობა სასწავლო ტურში; -ყველა მეცხვარემ მიიღო „მეცხვარის გზამკვლევი“; -მეცხვარეების სულ ცოტა 70 %-მა მონაწილეობა მიიღო საინფორმაციო შეხვედრებსა და სემინარებში; - მეცხვარეებმა განახორციელეს გზამკვლევი გათვალისწინებული ქმედებები.	-წვრთნის ანგარიშები; -სასწავლო ტურის ანგარიშები/მოხსენებითი ბარათები; -შეხვედრის ოქმები; -შესაბამისი თანამშრომლის ანგარიშები მეცხვარეების მიერ განხორციელებულ ქმედებებზე; -მედიით გაშუქება.	დონორის მხარდაჭერა გზამკვლევის მომზადება/გამოცემის, სასწავლო ტურის და სემინარების/შეხვედრების ჩასატარებლად

ამოცანა	შედეგი	შენატანი/აქტივობა	ინდიკატორი	გადამოწმების საშუალება	დაშვება
უკეთ რეგულირებული მიწათსარგებლობა ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე	-იჯარის ხელშეკრულებების გაფორმება;  - სამოვრებიდან მიღებული შემოსავალი.	-ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების დემარკაცია და სამოვრების რეგისტრაცია; -აუდიტორული კომპანიის დაქირავება იჯარით გასაცემი მიწის ღირებულების დასადგენად; -მეცხვარეებთან ხელშეკრულების გაფორმება; -მეცხვარეებთან მუშაობა იჯარის ხელშეკრულებების საჯარო რეესტრში დარეგისტრირების მიზნით.	-ხელმოწერილი იჯარის ხელშეკრულებები.	-საჯარო რეესტრის მონაცემები;  -სააგენტოს ფინანსური დოკუმენტაცია, სადაც აისახება სამოვრებიდან მიღებული შემოსავალი.	- მუნიციპალიტეტი დროულად მიაწვდის სააგენტოს მოიჯარე კანდიდატთა სიას, რომელიც შედგება თანამონაწილეობის პრინციპზე დაყრდნობით.  -ახმეტის და დედოფლის-წყაროს მუნიციპალიტეტები ითანამშრომლებენ.
მეცხვარეთა ცნობიერების გაზრდა სამოვრების მდგრადი მართვის საკუთხებში.	- ყველა მეცხვარეთის ხელმისაწვდომია გზამკვლევი, რომელშიც აღწერილია სამოვრების გაუმჯობესების გზები და მდგრადი მართვის	-გზამკვლევის მომზადება/გამოცემა/გავრცელება; -საინფორმაციო შეხვედრების/სემინარების ორგანიზება	-ყველა მეცხვარეს აქვს გზამკვლევი. -მეცხვარეთა 70 %-ზე მეტი მონაწილეობას მიიღებს შეხვედრებსა და სემინარებში.	-საველე ანგარიშები; -შეხვედრის ოქმები; -მეცხვარეთა გამოკითხვა; - შესაბამისი თანამშრომლის ანგარიშები	ინტერესი მეცხვარეთა მხრიდან..

ამოცანა	შედეგი	შენატანი/აქტივობა	ინდიკატორი	გადამოწმების საშუალება	დაშვება
	მექანიზმები. საკთხები განხილულია დეტალურად შეხვედრებსა და სემინარებზე.			გზამკვლევაში მოცემული აქტივობების შესრულების შესახებ.	
სამოვრების მართვის საუკეთესო პრაქტიკების დანერგვა	-მეცხვარეების ხელმისაწვდომია გზამკვლევი -მეცხვარეებს აქვთ ინფორმაცია სამოვრების მდგრადი მართვის საკთხებზე და გაუმჯობესების საუკეთესო პრაქტიკაზე.	-გზამკვლევის მომზადება/გამოცემა/გავრცელება;  -სასწავლო ტურის ორგანიზება/ჩატარება	-გზამკვლევი დაურიგდა ყველა მეცხვარეს (კი/არა); -მეცხვარეთა 70%-მა მონაწილეობა მიიღო საინფორმაციო შეხვედრა/სემინარებში; -სასწავლო ტურში მონაწილე მეცხვარეთა 5 წარმომადგენელი	-შეხვედრის ოქმები; -სასწავლო ტურის ანგარიში.	
ტრადიციული თუშური მეცხვარეობის შენარჩუნება	თუშ მეცხვარეობისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა დაცული ტერიტორიების შეზღუდვების გათვალისწინებით.	-თუშ მეცხვარეობთან იჯარის ხელშეკრულებების გაფორმება; -თანამონაწილეობითი მმართველობის პლატფორმის - სამოვრების მართვის საბჭოს შექმნა. -სამოვრის გაუმჯობესების ღონისძიებები	-თუში მეცხვარეები არიან მოიჯარეთა 80 %-ზე მეტი; -მეცხვარეთა წარმომადგენლები მონაწილეობენ მართვის საბჭოს შეხვედრებში.	-იჯარის ხელშეკრულებები;  -მეცხვარეთა გამოკითხვა.	ეკონომიკური და სხვა გარე ფაქტორები ხელს უწყობს ცხვრის ბიზნესის წარმართვა/შენარჩუნებას.

ამოცანა	შედეგი	შენატანი/აქტივობა	ინდიკატორი	გადამოწმების საშუალება	დაშვება
საძოვრების მონიტორინგის სისტემის განვითარება/დანერგვა	-მონიტორინგის სახელმძღვანელო; -მონაცემთა ბაზა; -საძოვრების შეფასებასა და მონიტორინგში გაწვრთნილი თანამშრომლები; -5 წლის განმავლობაში ყოველ წელს შეფასებული საძოვრები.	-სახელმძღვანელოს ადაპტირება/ვაშლოვანზე მორგება; -საძოვრების შეფასებაში თანამშრომლების საწვრთნელი კურსის ჩატარება; -მონაცემთა ბაზის განვითარება; -ყოველწლიური მონიტორინგის ჩატარება.	-სახელმძღვანელო ოფიციალურად მიღებულია მენეჯმენტის გემგმის განყოფილ ნაწილად (კი/არა); -ჩატარებული შეფასების რაოდენობა; -გაწვრთნილი თანამშრომლების რაოდენობა.	-მართვის მიღების ბრძანება; -შეფასების ანგარიშები -საწვრთნელი კურსის ანგარიშები.	საძოვრების მდგრადი მართვა რჩება დაცული ტერიტორიების სააგენტოს პრიორიტულ მიმართულებად.
-საძოვრების მდგომარეობის გაუმჯობესება	-გაზრდილი პროდუქტიულობა; -მრავალფეროვანი მცენარეული საფარი.	-ბალახის წათიბვა; -საძოვრის განოყიერება; -ნაკვეთმონაცვლეობა;	-საძოვრების მდგომარეობა გაუმჯობესებულია შეფესების შედეგების გათვალისწინებით	-მეცხვარეთა გამოკითხვა; -შეფასების შედეგები.	მეცხვარეები შეასრულებენ რეკომენდაციებს და გზამკვლევით გათვალისწინებულ ქმედებებს.

#### 4.5 განხორციელების გრაფიკი

აქტივობა/ქმედება	2015		2016				2017				2018				2019			
	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV	
სამუშაო აღწერილობის ან შესაბამისი დოკუმენტის შედგენა/განახლება	x																	
სასწავლო ტურის ორგანიზება / ჩატარება	x																	
საბჭოს დაკომპლექტება	x	x																
საბჭოს შექმნის ბრძანების მომზადება	x	x																
საბჭოს წესდების მომზადება		x																
საბჭოსთან ეფექტური კომუნიკაცია /კოორდინაცია	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	
აუდიტორული კომპანიის დაქირავება იჯარით გასაცემი მიწის ღირებულების დასადგენად;	x	x																
ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების დემარკაცია და სამოვრების რეგისტრაცია;	x	x																
მეცხვარეებთან იჯარის ხელშეკრულების გაფორმება;			x	x														
საწვრთნელი კურსის ორგანიზება / ჩატარება		x				x				x				x				
„მეცხვარის გზამკვლევის“ შემუშავება და გამოცემა		x	x	x														
„მეცხვარის გზამკვლევის“ დარიგება					x	x	x											
სამოვრების მონიტორინგის სახელმძღვანელოს ადაპტირება/ვაშლოვანზე მორგება	x																	
მეცხვარეებთან მუშაობა იჯარის ხელშეკრულებების საჯარო რეესტრში დარეგისტრირების მიზნით.			x	x	x													
მეცხვარეებთან საინფორმაციო შეხვედრებისა და სემინარების ორგანიზება / ჩატარება					x	x			x	x			x	x			x	
გაუძოვარი ბალახების წათიბვა					x	x			x	x			x	x			x	



ნაკვეთმონაცვლეობის განხორციელება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
საძოვრის განოციერების ღონისძიებების განხორციელება	x		x				x				x					x		
საძოვრების მონაცემთა ბაზის შექმნა		x	x	x				x				x					x	
საძოვრების ყოველწლიური შეფასება			x				x				x					x		

#### 4.6 მართვის გეგმის განახლება

მენეჯმენტის გეგმა განახლდება 2019 წელს, მას შემდეგ რაც ხელმისაწვდომი იქნება საძოვრების შეფასების 5 წლის მონაცემები და შემოღობვის მიმდინარე ექსპერიმენტის შედეგები.

#### 4.7 დანართები